პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 160 (9321)
17 აგვისტო, კვირა 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

# გამოვლინდნენ პირველი ლაურეატები

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი დავით კაკაბაძე მოსკოვიდან ტელეფონით გვატყობინებს:

**„დრუჟბას"** უნივერსალურ სპორტულ დარბაზში გუშინწინ გამოვლინდნენ IX საკავშირო სპარტაკიადის ჩოგბურთელთა ტურნირის პირველი ჩემპიონები წყვილთა თანრიგებში ქალთა და ვაჟთა შორის. ქალთა ფინალურ შეხვედრაში ლარისა სავჩენკომ და ელენა ბრიუხოვეცმა (უკრაინა) დაამარცხეს იულია სალნიკოვა და ოქსანა ლიფანოვა (მოსკოვი) — 6:4, 6:3. როგორც იცით, მესამე ადგილისათვის უნდა ეთამაშათ ლეილა მესხისა და ირინე მალაციძის წყვილს, მაგრამ იმის გამო, რომ ლეილა დაშავდა, შეხვედრა არ შედგა და მესამე ადგილზე უბრძოლველად გავიდნენ მოსკოველები ვიქტორია მილვიდსკაია და ნატალია ბიკოვა. ჩვენი დუეტი მეოთხე ადგილზე დარჩა.

მას შემდეგ, რაც მესხი ტურნირს გამოეთიშა, მთელი იმედი ვლადიმერ გაბრიჩიძეზე გადავიტანეთ, თუმცა იგი ერთეულთა თანრიგის ნახევარფინალურ შეხვედრაში ძალიან ძლიერ მეტოქეს, მოსკოველ ანდრეი ჩესნოკოვს უნდა შეხვედროდა. ამ ჩოგბურთელმა წლეულს ბევრ საერთაშორისო ტურნირზე გამოიჩინა თავი. საკმარისია ითქვას, რომ მან დაამარცხა ცნობილი ოსტატები, ფრანგი გი ფორჟე, ინდოელი რამეშ კრიშნანი, ამერიკელი სკოტ დეივისი და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, წმინდად მოუგო მსოფლიოს მეორე ჩოგანს შვედ მაქს ვილანდერს — 6:2, 6:3, 6:2. ასეთ მეტოქესთან ბრძოლა მეტისმეტად ძნელია და თუმცა გაბრიჩიძეს თავი არ დაუზოგავს, მაინც დამარცხდა — 2:6, 1:6. უნდა ითქვას, რომ ორივე სეტში თავდაპირველად ჩვენი სპორტსმენი დაწინაურდა — 2:1 და 1:0. ვლადიმერ გაბრიჩიძე მესამე ადგილისათვის ესტონელ ანდრის ვისანდს შეხვდება. ვისანდი ნახევარფინალში მეტად დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა უკრაინელ ალექსანდრე დოლგოპოლოვთან. ვაჟთა ერთეულთა თანრიგის ფინალში ჩესნოკოვი და დოლგოპოლოვი ითამაშებენ. სხვათა შორის, ეს სპორტსმენები ერთ ფინალში (წყვილთა შეჯიბრებაში) უკვე შეხვდნენ ერთმანეთს, ოღონდ ჩესნოკოვის პარტნიორი ანდრეი ოლხოვსკი იყო, დოლგოპოლოვისა — დიმიტრი პოლიაკოვი. ბრძოლა საინტერესო მხოლოდ ზირველ სეტში იყო. ეს პარტია უკრაინელებმა მოიგეს 7:6. შემდეგ კი მოსკოველებმა გატეხეს მეტოქეთა წინააღმდეგობა და შეხვედრა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 6:7, 6:4, 6:3, 6:0. მესამე ადგილზეა ლატვიელთა წყვილი — ძელდე და კრესლინში, მეოთხე ადგილზე — ვისანდი და ოიასალუ (ესტონეთი).

როგორც იცით, ვლადიმერ გაბრიჩიძე და დავით კაჭარავა წყვილთა თანრიგში მეოთხედფინალში გამოეთიშნენ მედლებისთვის ბრძოლას, თანაც მომავალ ჩემპიონებთან შეხვედრაში, მაგრამ მეხუთე-მერვე ადგილისათვის ბრძოლაში ზედიზედ დაამარცხეს სამი წყვილი, მათ შორის პაულს ფელდმანისი და ანდრის ფილიმონოვი (ლატვია) — 6:4, 7:5 და მეხუთე ადგილზე გავიდნენ. ირინე მალაციძე IX-XII ადგილებისთვის ბრძოლაში უკრაინელ ელენე ბრიუხოვეცთან დამარცხდა — 1:6, 1:6. ხოლო ირაკლი მეტრეველი (XIII-XVI) ესტონელ რიატსეპთან — 4:6, 2:6.

მართალია, გუნდურ პირველობაში მესამე ადგილი დავიკავეთ, მაგრამ მესხი რომ არ დაშავებულიყო, ალბათ მედლებს მოვიპოვებდით. განსაკუთრებით რეალური ჩანდა მესხისა და გაბრიჩიძის შერეული წყვილის წარმატება, რადგან მათი მთავარი მეტოქეები ანდრეი ჩესნოკოვი და იულია სალნიკოვა უფრო ადრე გამოეთიშნენ შეჯიბრებას.

ბოლოს ვიტყვით, რომ ჩვენი გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით უფროს მწვრთნელს თომას ლეიუსს, მწვრთნელებს ვლადიმერ გოგლიძეს და გრანტ მუსაელიანს.

### ელვა-ინფორმაცია

**გუშინ** III ადგილისთვის ბრძოლაში, გაბრიჩიძე ვისანდს შეხვდა. პირველ სეტში მეტოქეებმა თითო გეიმი მოიგეს. სამწუხაროდ, ამ დროს ჩვენმა ჩოგბურთელმა წელი იტკინა და ბრძოლა შეწყვიტა. გაბრიჩიძე IV ადგილზე დარჩა, ხოლო ვისანდმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ქალთა ერთეულთა ფინალში ლვოველმა ლარისა სავჩენკომ სძლია მოსკოველ ნატალია ბიკოვას (6:1, 4:6, 6:4). ეს სავჩენკოს მეორე ოქროს მედალია. იგი შერეულ წყვილთა ფინალშიც ითამაშებს.

**აღზრდა კონკრეტული საქმით იწყება**

# აღზრდა ფიზიკური და აღზრდა სულიერი

**ხუთი წლის წინათ, როცა ხობს ვესტუმრეთ, ხარაჩოების სიმრავლემ მიიპყრო ჩვენი ყურადღება. მშენებლობიდან თავისი მასშტაბურობით განსაკუთრებით ორი ობიექტი — კულტურის სახახლე და საცურაო აუზების კომპლექსი გამოირჩეოდა. შარშან კიდევ ერთხელ ვესტუმრეთ რაიონს. კულტურის სახახლეც ვნახეთ და საწყლოსნო კომპლექსიც. ერთიც და მეორეც მართლაც გამორჩეული ნაგებობები იყო. ახეთი სპორტული ბაზებით რესპუბლიკის ბევრი მსხვილი რაიონული ცენტრი თუ ქალაქიც კი ვერ მოიწონებს თავს.**

**ხობში პირველი სტუმრობისას, რაიკომის პირველმა მდივანმა ნუგზარ ნადარაიამ ბევრი რამ გვიამბო რაიონის მშრომელების წარმატებაზე. რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაზეც საკმაოდ ისაუბრა. გვიამბო სპორტული ბაზების მშენებლობის პერსპექტივებზე...**

**ჩვენ კვლავ შევხვდით ნუგზარ ნადარაიას.**



**◉ ბატონო ნუგზარ, ხობში ჩემი პირველი სტუმრობისას რაიონში სპორტული ბაზების მშენებლობის პერსპექტიულ გეგმებზეც ვსაუბრობდით, რაც თავის დროზე „ლელოს" მკითხველსაც გავაცანით, ხოლო თქვენი კომპლექსური სპორტდარბაზის მაკეტის ფოტოც კი გამოვაქვეყნეთ. საინტერესოა, როგორ შესრულდა, ან როგორ სრულდება თქვენი გეგმები?**

— მას შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა. შარშანწინ უკეთ მოეწყო, უფრო სწორად, ფაქტიურად თავიდან აშენდა ხობის ცენტრალური სტადიონი, რომელსაც აქვს სარბენი ბილიკები, მძლეოსნური სექტორები, 8000 კაცისათვის განკუთვნილი ტრიბუნა. ის მაკეტი, თქვენ რომ ახსენეთ, ახლა ქაღალდზე კი არა, შარშანდელი მაისიდან უკვე რეალურად არსებობს. იგი საქართველოს ლენინური კომკავშირის სახელობის სპორტდარბაზია. სახელად „მართვე" ვუწოდეთ. სპორტდარბაზის სარბიელის ზომა 24X44 მეტრია, სადაც ვარჯიშობენ ფრენბურთელები, ხელბურთელები, კალათბურთელები, ტანმოვარჯიშეები, მოჭიდავეები, მოკრივეები, ძალოსნები და სხვები. სპორტდარბაზს აქვს 800 მაყურებლისთვის განკუთვნილი ტრიბუნა, ფინური აბანო, საუნა... ამავე სპორტდარბაზის ბაზაზეა ოთხი ჩოგბურთის კორტი, ორ-ორი კალათბურთისა და ფრენბურთის მოედანი, აგრეთვე ფეხბურთელთა ამდენივე საწვრთნელი მოედანი. ავაშენეთ ხუთსართულიანი სპორტული სკოლის საცხოვრებელი კორპუსი. სპორტული სკოლა 600 მოსწავლეზეა გათვალისწინებული. ისინი ცურვაში ოსტატდებიან. თუმცა, არც სხვა სახეობებს ვივიწყებთ. აქ სწავლობენ არა მხოლოდ ხობელები, არამედ მეზობელი რაიონებისა და ქალაქების ბავშვებიც. გაისად დაპროექტდება და 1987 წელს დამთავრდება ხობის იპოდრომის მშენებლობაც. ტურიზმის რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად განზრახული გვაქვს 1987-1988 წლებში სოფელ ყულევში, იქ სადაც ხობის წყალი შავ ზღვას ერთვის, სანიჩბოსნო ბაზა მოვაწყოთ.

**◉ ხშირად ბევრი რაიონის მესვეურს „ავიწყდება" სოფლად მარტივი ტიპის სპორტული სარბიელის მოწყობა. არადა, ჩვენი სპორტის უძრავი, ხელუხლებელი რეზერვი სწორედ სოფელშია. ამ რეზერვის ამოქმედება რესპუბლიკის სპორტულ მიღწევებს უთუოდ გაორკეცებდა და გაასამკეცებდა...**

— რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებით სოფლად კარგა ხანია მიმდინარეობს მარტივი ტიპის სპორტული მოედნების გაშენება და კეთილმოწყობა. ფიზკულტურის კომიტეტი კომკავშირის რაიკომთან ერთად ატარებს სპორტული ბაზების კეთილმოწყობის ერთთვიურებს. ამის შედეგად თითქმის ყველა სოფელს აქვს სარბიელი, ზოგს ორი-სამი მოედანიც კი, მაგალითად, უკანასკნელ წლებში მწყობრში ჩადგა შუა ხორგის, ჭალადიდის, 1 მაისის მე-2 საშუალო, ნოჯიხევის, გამა ხორგისა და ზუბის რვაწლიანი სკოლის სპორტული დარბაზები, ხობის მე-2, ხამასქურის, ნოჯიხევის, ქარიატის საშუალო და ნოჯიხევის 30-ე პროფტექნიკური სასწავლებლის კომპლექსური მოედნები.

**◉ ნათელია, რომ ხობელ ახალგაზრდობას სპორტული ბაზების ნაკლებობის გამო სამდურავი არ ეთქმით. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ განებივრებულებიც კი არიან. ახლა, საინტერესო იხაა, როგორ იყენებენ ამ სიმდიდრეს.**

— ბაზების მშენებლობასა და მოწყობას ჩვენი სპორტული მოძრაობის გამოცოცხლება უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც. გაიზარდა ფიზკულტურელთა რიცხვი. წინათ თუ საქართველოს სპარტაკიადებზე რაიონის სპორტსმენები უკანასკნელი ადგილების უცვლელი კანდიდატები იყვნენ, ახლა „სატურნირო ცხრილის" შუაში ვართ. ჩვენთან აღზრდილ ფეხბურთელებს ჩაუცვამთ და კვლავაც ჩაიცვამენ თბილისის „დინამოს", ქუთაისის „ტორპედოს", ფოთის „კოლხეთისა" და სხვა გუნდების მაისურებს.

იხ. მე-2 გვ.

## „ოქროს ოვალი"



**თბილისი** პირველად მასპინძლობს ჟურნალ „სპორტივნიე იგრის" პრიზის „ოქროს ოვალის" მორაგბეთა გუნდების საკავშირო გათამაშების ფინალურ ტურნირს. პირველი დღის შედეგები უკვე გაუწყეთ, ახლა მეორე და მესამე დღის შედეგებსაც გაგაცნობთ: მოსკოვის „ფილი" — კრასნოიარსკი 0:4, ლენინგრადი — მოლდავეთი 10:3, კრასნოიარსკი — ზელენოგრადი 10:3, „სპარტაკი" — „ლოკომოტივი" (ორივე — მოსკოვი) — 22:12, „ფილი" — მოლდავეთი 25:0, თბილისის განათლების სამინისტროს გუნდი — უზბეკეთი 35:0. ამ სურათზე სწორედ თბილისელი და უზბეკი ჭაბუკების შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი.

# რაზე ოცნებობს ჩემპიონი?

**თენგიზ** თედორაძის გამარჯვების ამბავი „სოვეტსკი სპორტიდან" შევიტყვეთ. იმავე დღეს რედაქციაში დარეკეს: თედორაძე უკვე თბილისშია, ერთ საათში თქვენთან იქნებაო. კარგა ხანია არ მენახა. შეცვლილი, დავაჟკაცებული მეჩვენება. ახალგაზრდა კაცი ახლდა თან. ვიფიქრე, ალბათ უფროსი ძმაა-მეთქი. თურმე მამა ყოფილა, ზაურ თედორაძე — სარესტავრაციო სახელოსნოს თანამშრომელი.

ადრე ბათუმში ცხოვრობდნენ. თენგიზმა იქ ისწავლა ჭიდაობა. ოთხი წლის წინ თბილისში გადმობარგდა მთელი ოჯახი: დედა, მამა და სამი შვილი. თენგიზი ერთთავად შეკრებებზე და შეჯიბრებებზეა, უმცროსი და გურანდაც სპორტსმენია — საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების წევრი. ახლა იგი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის ემზადება.

თენგიზი მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ველარ გამოვა: 5 ივლისს ცხრამეტისა გახდა. მოსწავლეთა სპარტაკიადაზე შარშანწინ ტაშკენტში გაიმარჯვა. ეს იყო პირველი სერიოზული შეჯიბრება ჭაბუკის სპორტულ ბიოგრაფიაში. პირველად მაშინ ვნახე სარბიელზე. ყველას დაგვამახსოვრა თავი: ხუთივე მეტოქე წმინდად დაამარცხა: შარშან კიევში ჭაბუკთა საკავშირო თამაშებზეც ჩემპიონი გახდა, იქაც ყველა შეხვედრაში ვადაზე ადრე გაიმარჯვა. საერთოდ, მესამე წელია თანატოლთა არც ერთი ტურნირი, არც ერთი ორთაბრძოლა არ წაუგია.

...მალმიოში, „კლასიკოსთა" ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზეც იგივე გამეორდა: ოთხი შეხვედრა — ოთხი წმინდა გამარჯვება.

რედაქციაში სტუმრად მოსულს, პირველად რატომღაც ეს ვკითხე: როდის მორჩები ბავშვებთან ძიძგილაობას, მსოფლიო ჩემპიონი როდის გახდები-მეთქი. გაეცინა: აბა, რისთვის ვიკლავ თავს, ჩემი ოცნებაც ეგ არისო. სხვათა შორის, „ხელწერილიც" აქვს დადებული — აი, რა წერია უჯრებიან ქაღალდზე დაწერილ ამ „დოკუმენტში", რომელსაც სათუთად ინახავს დავით დავითაია, თენგიზის მწვრთნელი. „დავიბადე 1967 წელს ბათუმში. ჭიდაობაში ვარჯიში დავიწყე 1978 წელს. ჩემი მიზანია დავიპყრო დიდი სპორტული სიმაღლეები, გავხდე მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ისეთი მოჭიდავე, როგორებიც იყვნენ გივი კარტოზია, რომან რურუა, როსტომ აბაშიძე მიზნის მისაღწევად თავს არ დავზოგავ"...

იხ. მე-3 გვ.

# აღზრდა ფიზიკური და აღზრდა სულიერი

დასასრული

საქართველოს მოცურავეთა შეჯიბრების საპატიო კვარცხლბეკზე ხობელი სპორტსმენიც გამოჩნდა. ეს გახლავთ კახა შენგელია, რომელმაც შარშან ჩვენს აუზში გამართულ შეჯიბრებაში 1972 წელს დაბადებულ სპორტსმენთა შორის 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მეორე ადგილი დაიკავა, რამაც ძალზე გაახარა ხობელები. კახას წარმატება უთუოდ ხელს შეუწყობს ხობში ცურვის პოპულარობას. ჩვენი რაიონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის უკეთ ორგანიზაციას. ამ მიზნით ფიზკულტურის კოლექტივებს შორის სადღესასწაულო და დასვენების დღეებში ეწყობა მშდ ნორმატივების ჩაბარება, მძლეოსნური კროსები, ძალოსანთა კონკურსები, „ღია ხალიჩის" დღე და სხვა. დიდ ყურადღებას ვუთმობთ კადრებთან მუშაობას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდას. ეწყობა შეხვედრები გამოჩენილ სპორტსმენებთან. საქართველოს კომკავშირის სახელობის სპორტდარბაზში შარშან გაიხსნა სპორტული და გამაჯანსაღებელი ჯგუფები. ცენტრალური სტადიონის კარიც ყველასათვის ღიაა და ამით სარგებლობენ კიდეც ჩვენი ახალგაზრდები, მოსწავლეები და მშრომელები. იგივე უნდა ითქვას ჩვენს შესანიშნავ საცურაო აუზების კომპლექსზეც, სადაც 800-ზე მეტი ბავშვი ვარჯიშობს ცურვაში. ამას გარდა, აქ გახსნილია გამაჯანსაღებელი ჯგუფები, სადაც არა მხოლოდ ხობელები, არამედ მეზობელი რაიონებიდანაც კი დადიან. და მაინც, ხობელთა ახლანდელი მიღწევები, ჩვენი პირობების კვალობაზე, ზღვაში წვეთია.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი ხშირი სტუმარია სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ლენინგრადელი მოცურავე ვლადიმერ სალნიკოვი. ვლადიმერისთვის წლეულს ჩვენს აუზში ვარჯიში ფრიად ნაყოფიერი გამოდგა და, როგორც იცით, მოსკოვში, კეთილი ნების თამაშებში თავისივე მსოფლიო რეკორდიც გააუმჯობესა. სასიხარულოა, რომ სალნიკოვმა ხობელ მოსწავლეებს ცურვის რამდენიმე გაკვეთილიც ჩაუტარა.

**⊙ თქვენი საცურაო აუზების კომპლექსი მართლაც რომ შესანიშნავია: ერთი მოცურავეთა და წყალბურთელთა 50-მეტრიანი აუზი, წყალში სახტომი აუზი, ორი საჯუმპალაო, 1800 კაცისათვის განკუთვნილი ტრიბუნა, ლამის 90-ადგილიანი სასტუმრო, სააქტო დარბაზი, საუნა... ეს ყველაფერი იმედით ავსებს მოცურავეთა გულშემატკივარს, რადგან ჩვენი მოცურავეები უსაშველოდ ჩამორჩებიან და იქნებ ეს ჩამორჩენა ხობელთა დახმარებითაც დაიძლიოს. თქვენი აზრით, რა არის საჭირო, რომ ხობელებმა იმედი გაამართლონ?**

— ახლა საქმე სპეციალისტებზეა. ამ მხრივ, სამწუხაროდ, თავს ვერ მოვიწონებთ. თითო-ოროლა სპეციალისტით, როგორც იტყვიან, ფონს ვერ გავალთ. არადა, სხვა სპეციალისტების ჩამოყვანა ვერა და ვერ მოხერხდა. ამ საქმეში ცურვის რესპუბლიკური ფედერაციის დახმარება გვჭირდება. იმის გამო, რომ სპეციალისტები არა გვყავს, ჩვენთან ვერა და ვერ გავხსენით წყალბურთელთა და წყალში მხტომელთა ჯგუფები.

**⊙ შარშან თბილისში გამართულ საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, სადაც მსჯელობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „საკლუბო დაწესებულებათა და სპორტულ ნაგებობათა გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", ხობის რაიონის მისამართით ბევრი საქებარი სიტყვა ითქვა. ითქვა, რომ „ხობის რაიონის კულტურის სახლთან შეიქმნა ინტერესების კლუბი „რომანტიკა". ეს საკონსულტაციო ორგანოა. იგი მშრომელებს თავისუფალი დროის გონივრულად ორგანიზებაში ეხმარება. კლუბი სამეურნეო ანგარიშით მუშაობს. საწევრო შესატანები კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა და სპორტულ ნაგებობათა კეთილმოწყობას ხმარდება".**

**ერთი სიტყვით, ზემოხსენებული დადგენილების შესასრულებლად, მოსახლეობის ჰარმონიული, სულიერი და ფიზიკური განვითარებისთვის თქვენ შესანიშნავი პირობები გაქვთ.**

— ფიზიკურ აღზრდაზე უკვე მოგახსენეთ, რაც შეეხება სულიერ აღზრდას, ვიტყვი, რომ ჩვენი ახლადაშენებული კულტურის სასახლე ამ მხრივ ბევრს აკეთებს. აქ ხშირად ჩამოდიან სხვადასხვა ანსამბლები, დასები... მაგალითად, ვუმასპინძლეთ ანსამბლ „ივერიას", რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებს. ჩვენს კულტურის სასახლეში გავხსენით ჭადრაკისა და შაშის სექციები. აღსანიშნავია, რომ კულტურის სასახლეს ჰყავს ფეხბურთელთა გუნდი, მაგრამ აღნიშნული დადგენილება მეტს გვავალებს და ჩვენც ენერგიას არ დავიშურებთ მის ცხოვრებაში გასატარებლად.

და ბოლოს მადლობის სიტყვებით მინდა მოვიხსენიო რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ცალკეული სამინისტროები, რესპუბლიკის პროფსაბჭო, „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭო, განათლების სამინისტრო, პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტი, რომლებიც ყურადღებას და მზრუნველობას არ გვაკლებენ. ვეცდებით, რომ მათი ასეთი ყურადღება გავამართლოთ.

საუბარი ჩაიწერა
ავთანდილ გურასაშვილმა.

# SOS მოედანი მოგვიშალეს...

სოფელში ერთი პატარა სტადიონი გვქონდა. ის იყო ახალგაზრდების თავშეყრის საყვარელი ადგილი. დავრბოდით, ფეხბურთს ვთამაშობდით, მხიარულად ვისვენებდით. მაგრამ ვიღაცის წინადადებით იგი გააუქმეს და მინდორზე შვრია დათესეს.

წელს ნახარებაოელებმა გადავწყვიტეთ ძველი სტადიონი აღგვედგინა — ადგილი მოვასწორეთ, სარეველასაგან გავწმინდეთ, კარის ძელებიც ჩავსვით და მასზე მატჩიც ჩავატარეთ. უხაროდათ ახალგაზრდებს, ასაკში შესულნი კი, ისინი, ვისაც ძველ სტადიონზე უთამაშია, სიყვარულით შესცქეროდნენ აღორძინებულ სპორტულ მოედანს, სიჭაბუკის წლები ახსენდებოდათ.

მაგრამ ჩვენი სიხარული ხანმოკლე გამოდგა. ტუნგოს საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებმა ერთ მშვენიერ დღეს ტრაქტორი მოიყვანეს და სტადიონი გადახნეს — სიმინდი უნდა დავთესოთო — გამოგვიცხადეს. იხარა სიმინდმა სტადიონის მოედნის ცენტრსა და საჯარიმო მოედნებზე, იხარა, მაგრამ სიხარული არავის მოგვიტანა.

— მიწა რომ სამოედნოდ გამოიყოთ, ამისათვის სპეციალური ნებართვაა საჭირო, მოიტანეთ და მერე ვილაპარაკოთო — გვეუბნებიან.

როგორ მოგწონთ ასეთი ლოგიკა? ის, ვინც ნებართვა უნდა გასცეს, თვითონ ითხოვს ნებართვის მოტანას...

მანამდე?

მანამდე ჩვენი ფეხბურთელები ნახარებაოს ავტოსატრანსპორტო კანტორისა და „სოფქიმიის" საწარმოს გუნდები ერთმანეთს სოფელ ნაგვაზაოს სტადიონზე ხვდებიან, თავიანთი სოფლიდან 4 კილომეტრით დაშორებულ და მოუვლელ მოედანზე.

იქნებ თქვენ დაგვეხმაროთ?

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნახარებაოს ახალგაზრდების დავალებით: გ. ხარებავა, ა. კაკუტია, ვ. კვესელავა, კ. სურმავა, უ. დარახველიძე.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

რედაქციას უპასუხებს სახალხო დეპუტატთა ყაზბეგის რაიონული საბჭოს აღმასკომი

### „თავმჯდომარეებს ცვლიან, საქმე არ იცვლება"

„ლელოს" 28 ივნისის ნომერში ასეთი სათაურით გამოქვეყნებულ წერილში ყაზბეგის რაიონი იყო გაკრიტიკებული. მოგახსენებთ, რომ აღნიშნული საკითხი მიმდინარე წლის 18 ივნისს განიხილა სახალხო დეპუტატთა ყაზბეგის რაისაბჭოს აღმასკომის სხდომამ. ითქვა, რომ კრიტიკულ წერილში მოტანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. სხდომაზე დასახული იქნა კონკრეტული ღონისძიება არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. გაცნობებთ, რომ ყაზბეგში, სკვერის ტერიტორიაზე უკვე მოეწყო ჩოგბურთის კორტები, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები. რემონტი ჩაუტარდა დაბა ყაზბეგის საშუალო სკოლის სპორტდარბაზს. სოფელ სიონში (პიონერთა ბანაკ „დარიალში") და სოფელ აჩხოტში გაშენდა მარტივი ტიპის ღია სპორტული კომპლექსი, თითქმის ყველა სოფელში და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან ეწყობა მარტივი ტიპის სპორტული მოედნები. ყაზბეგში კეთილმოეწყო ფეხბურთის მოედანი. აქვე დაწყებულია დახურული სპორტდარბაზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ჩატარებული მუშაობისა, ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებები. კერძოდ, ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ნაკლებადაა ჩაბმული მოსახლეობა, ბავშვები, ქალიშვილები და ჭაბუკები. კვლავ მოუვლელი და გამოუყენებელია მოედნების და დარბაზების ერთი ნაწილი.

ყაზბეგის რაისაბჭოს აღმასკომი ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში დღემდე არსებული ნაკლოვანებების დაძლევისა და მუშაობის გარდაქმნისათვის კიდევ მიიღებს გადამწყვეტ ზომებს.

თ. ლუდუშაური,
სახალხო დეპუტატთა ყაზბეგის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

17 აგვისტო საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტის დღეა

# „ჯანმრთელობის ეკიპაჟი"



თბილისის აეროპორტის დასახლების მოზარდებს რომ ფეხბურთიც უყვართ და ფრენბურთიც, მძლეოსნობის, ფარიკაობის და სხვა სახეობების სპორტულ სექციებშიც ხალისით მეცადინეობენ, გასაკვირი არ არის, აი, დასახლების მკვიდრი „უფროსი თაობის" ფიზკულტურული ენთუზიაზმი კი ნამდვილად სამაგალითო და მისაბაძია.

1982 წლის 22 თებერვალს დასახლებაში ჯანმრთელობის ჯგუფი გაიხსნა. მას შემდეგ 30-დან 65 წლამდე ასაკის სხვადასხვა პროფესიის 50 „აეროპორტელი" ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით სამუშაოს დამთავრების შემდეგ რეგულარულად მეცადინეობს აეროპორტის ფიზკულტურის მეთოდისტის ვაჟა მირუაშვილის ხელმძღვანელობით. ავდარში ისინი 76-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის დარბაზში იკრიბებიან, მზიან ამინდში კი აეროპორტის საერთო საცხოვრებლის ხელბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და ბადმინტონის მოედნებზე ან დასახლების სტადიონზე. ცხრილის მიხედვით კვირა სპორტული თამაშების დღეა, მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა ამ დღეს „ფრენბურთის დღეს" თუ დავარქმევდით. ჯგუფის წევრებს ყველაზე მეტად ფრენბურთი მოსწონთ და დიდი გატაცებითაც თამაშობენ. თუმცა კვირადღეს ფრენბურთის მოედანი შეიძლება ცარიელიც დაგხვდეთ, რადგან გამოზაფხულდება თუ არა, ჯგუფის წევრებს ქალაქგარეთ მიუწევთ გული. უკვე იყვნენ კოჯორში, ბაზალეთის ტბაზე, ფასანაურში, გომბორში, ნორიოში... ეს ლაშქრობები ერთგვარი „გამსვლელი საგამოცდო სესიებიც" გახლავთ. ტრადიციულად, აქ აბარებენ მშდ ნორმატივებს. ჯგუფი, ცხადია, არც სხვა მასობრივ სპორტულ ღონისძიებებს აკლდება.

ვინ არ იცის, რომ ავიაციაში სამსახური ძნელია. მოგეხსენებათ, ავიაცია ე. წ. „სტრესული" პროფესიების სიის თავში მოექცა — ავიატორებს ხომ შეცდომის უფლება არა აქვთ, მათ სიმხნევეზე, ხასიათის სიმტკიცეზე, მოსაზრებულობაზე ზოგჯერ ასობით ადამიანის სიცოცხლე ჰკიდია. ამიტომ, აქტიური დასვენება ყველაზე მეტად მათ სჭირდებათ. ეს კარგად იციან ჯგუფის „ავიასაწარმოს" წევრებმა — დისპეტჩერმა ედუარდ გორნიმ, ფრენების ხელმძღვანელმა გიორგი კვიცინაძემ, ვერტმფრენების მრეცხავმა სედა კაროზაშვილმა, ტექნიკოს-სინოპტიკოსმა ნადეჟდა ბატაევამ და სხვებმა. მათთან ერთად იკაჟებენ ჯანმრთელობას „სახმელეთო" პროფესიების წარმომადგენლებიც: მედდა თამარ ბელოვა, 76-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ტაისია ბეზრუკოვა. ცხადია, მეცადინეობაზე მოსულთ თავიანთი პროფესიები დროებით „ავიწყდებათ", მაგრამ დასახლების პოლიკლინიკის ექიმ ფსიქოლოგს რუფინა რატოკლიას საქმე აქაც არ ელევა: თანაჯგუფელებს რჩევა-დარიგებებსაც აძლევს და ჯანმრთელობის ჯგუფსაც აკვირდება. რა ქნას, ეს ხომ მისი პროფესიული ინტერესის საგანია.

აქვე ქებით უნდა მოვიხსენიოთ თბილისის ავიასაწარმოს ფიზკულტურის საბჭო, რომელსაც ამ საწარმოს უფროსი კუკური კურტანიძე ხელმძღვანელობს. საბჭო მოზარდთა იმ სპორტული სექციების მუშაობასაც უძღვება, წერილის დასაწყისში რომ ვახსენეთ და, როგორც დავრწმუნდით, უყურადღებოდ უფროსებსაც არ ტოვებს. დასახლებაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გასაუმჯობესებლად ფიზკულტურის საბჭოს 19 წევრის საქმიანობა ნაკლებეფექტური იქნებოდა, მათ აეროპორტის ადმინისტრაცია, პარტიული და პროფკავშირული კომიტეტები რომ არ ეხმარებოდნენ. ამის საუკეთესო საბუთია სამომავლო გეგმები: გადაწყდა გაფართოვდეს დასახლების აქტიური დასვენების ზონა და გაუმჯობესდეს ჯანმრთელობის ჯგუფში მეცადინეობის მსურველთა მომსახურების ხარისხი — სტადიონთან სპორტული და საბავშვო მოედნები გაშენდება, რომელთაც გასახდელები და საშხაპეები ექნება. აი, მაშინ ის ნაკლიც გამოსწორდება, ყველაფრით მადლიერმა ჩვენი ნაცნობი ჯგუფის წევრებმა მორიდებით რომ გაგვიმხილეს: წყლის გადავლების საშუალება არა გვაქვსო.

* * *

**სურათებზე: თბილისის აეროპორტის დასახლების ჯანმრთელობის ჯგუფის წევრები მოთელვით და... ხალისიანი გუნება-განწყობილებით იწყებენ ვარჯიშს; სამსახური და სამუშაო მაგიდა სპორტულმა მოედანმა და „შვედურმა კედელმა" შეცვალა.**





ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაზე ოცნებობს ჩემპიონი?

დასასრული

რომელი მთამსვლელი არ ოცნებობს ჯომოლუნგმაზე. მოჭიდავეებსაც აქვთ თავიანთი „ჯომოლუნგმა“ — მსოფლიო ჩემპიონატი და ოლიმპიური თამაშები, მაგრამ, ამ მწვერვალამდე რამდენი „პატარ-პატარა“ სიმაღლეა ასაღები! თენგიზ თედორაძემ უკვე ბევრი ასეთი სიმაღლე დაძლია. აქედან კარგად მოჩანს დიდი მწვერვალებიც, აქამდე მიუწვდომელი რომ ჩანდა.

...მაგრამ დავუბრუნდეთ შვეციის ტურნირს. ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე 19 ქვეყნის ფალავნები შეიკრიბნენ. ამ შეჯიბრებაზე ოც წლამდე ასაკის სპორტსმენებს უშვებენ. თენგიზი პირველად მაშინ გავიდა ევროპულ სარბიელზე (მანამდე ტერნოპოლში საკავშირო პირველობაში გაიმარჯვა და წინ რა დაუდგებოდა). მეორე საშუალო წონაში თერთმეტი მოჭიდავე მოგროვდა. თენგიზს ოთხთან მოუწია ბრძოლა. ქვეჯგუფში ჯერ იტალიელი სპორტსმენი დაამარცხა, მერე — შვედი და რუმინელი (სამივეს წმინდად მოუგო), ფინალში კი გდრ-ის წარმომადგენელს შეხვდა...

მახსოვს ერთხელ მითხრა: „ხალიჩაზე რომ გავდივარ, ვცდილობ თავიდანვე ხელთ ვიგდო უპირატესობა. თუ ეს შეძელი, მეტოქე ნელნელა უკან იხევს, მთავარია შენს სიძლიერეში დაარწმუნო იგი“. ...გერმანელი მოჭიდავე, როგორც ჩანს, მაშინვე დარწმუნდა, ვისთან ჰქონდა საქმე: ზედიზედ ხუთი ქულა დაკარგა და წინააღმდეგობა შეწყვიტა. შესვენების შემდეგ თენგიზმა კიდევ სამი ქულა მოიპოვა, მის მეტოქეს კი მესამე გაფრთხილება მისცეს.

ოთხი შეხვედრა, ოთხი წმინდა გამარჯვება! თანაც ჩვენს ფალავანს მეტოქეებისთვის ქულაც არ დაუთმია. აქ კომენტარი აღარაა საჭირო.

მოჭიდავეს ევროპის ახალგაზრდულ პირველობაში გამარჯვებისთვის, როგორც წესი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება ენიჭება. მაგრამ თენგიზ თედორაძე შვეციაში გამგზავრებამდე იყო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ეს წოდება კი მან პოდუბნის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებისთვის მიიღო, პოდუბნის ტურნირი, მოგეხსენებათ, მოზრდილთა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საერთაშორისო შეჯიბრებაა, ამიტომ ბევრისთვის მოულოდნელი იყო 19 წლის სპორტსმენის წარმატება. მაშინ ჩვენი ფალავანი საბჭოთა კავშირის მოზრდილთა ნაკრების კანდიდატთა რიგებში ჩარიცხეს. დღეისათვის საბჭოთა ნაკრებს 90 კგ წონით კატეგორიაში გამოკვეთილი ლიდერი არა ჰყავს, პოტენციურ პრეტენდენტთა შორის კი, რა თქმა უნდა, თენგიზ თედორაძესაც ასახელებენ, რადგან ევროპის პირველობაში გამარჯვების შემდეგ მისი „კოეფიციენტი“ კიდევ უფრო ამაღლდა.

**ელგუჯა ბერიშვილი.**

# საბჭოთა სპორტსმენები საზღვარგარეთ

## დინამოელები უნგრეთში

**თბილისის** „დინამოს“ ფეხბურთელები, როგორც ცნობილია, უნგრეთში იმყოფებიან ბუდაპეშტის „ჩეპელის“ მიწვევით. პირველ მატჩში, რომელიც ამ ორ გუნდს შორის შედგა, გაიმარჯვეს თბილისელებმა — 4:3.

## მოსკოვის „ტორპედო“ ინგლისში

მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელები 3 საერთაშორისო მატჩს ჩაატარებენ ინგლისის გუნდებთან. პირველი მათგანი შედგა ბირმინგემში, ადგილობრივ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან“. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს ტორპედოელებმა.

## სპარტაკელთა წარმატება

**მოსკოვის** „სპარტაკის“ ფეხბურთელები ბელგიაში იმყოფებიან, სადაც პირველი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართეს ანტვერპენის „ბეერსკოტთან“. სპარტაკელებმა წარმატებას მიაღწიეს — 6:0.

16-17 აგვისტოს აქ გაიმართება ოთხი გუნდის საერთაშორისო ტურნირი, მასში მონაწილეობას მიიღებენ „სპორტინგი“ (პორტუგალია), „ბარსელონა“ (ესპანეთი), „ბრიუგე“ (ბელგია) და „სპარტაკი“ (მოსკოვი).

## ოლიმპიელ ფეხბურთელთა ტურნე

**სსრ კავშირის** ოლიმპიური ნაკრები შვეციაში იმყოფება, სადაც რამდენიმე საერთაშორისო მატჩს ჩაატარებს.

პირველი შეხვედრა საბჭოთა ოლიმპიელთა გუნდმა ქ. ევლეში გამართა ამავე სახელობის ადგილობრივ კლუბთან.

მატჩი დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 1:0, ბურთი გაიტანა ლიუტიმ. საბჭოთა ოლიმპიურმა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ხარინი, ვოროზოვი, პანჩიკი, კუდინოვი, იანონისი, იაშჩენკო, სკლიაროვი, ი. სავიჩევი (კუზნეცოვი), დობროვოლსკი (მიხაილიჩენკო), ტარანი, ლიუტი.

# უცხოელები საფრანგეთში

საფრანგეთის საფეხბურთო ცხოვრებაში მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ არსებითი ცვლილებები მოხდა. ფეხბურთით დაინტერესდნენ მსხვილი მონოპოლიები. ცნობილმა ფრანგმა მრეწველმა ბერნარ ტაპიმ იყიდა „მარსელი“ და გუნდში კონსულტანტად მიშელ იდალგო მოიწვია. ასეთივე გარდაქმნები მოხდა სხვა გუნდებში, კერძოდ „რესინგში“, რომელიც „მატრას“ ფირმის საკუთრებას წარმოადგენს.. ახალი სეზონის სხვა სიახლეთა შორის ჟურნალისტები უცხოელ ფეხბურთელთა იმპორტს ასახელებენ. როგორც ირკვევა, წლეულს საფრანგეთის კლუბებში 26 უცხოელი ითამაშებს. მათ შორის თხუთმეტი მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე იქნება (სამი — არგენტინელი, ორი — გფრ-დან, თითო მოთამაშე — დანიიდან, ურუგვაიდან, ბრაზილიიდან, ბელგიიდან, შოტლანდიიდან, ნიგერიიდან და ა. შ.).

ასახელებენ გვარებსაც. ასე, მაგალითად, არგენტინელი ოლარტიკოჩეა, თავის თანაგუნდელ ბურუჩაგასთან ერთად „ნანტში“ ითამაშებს, ლიტბარსკი „რესინგში“ გამოვა, ფიორსტერი — „მარსელში“. „რესინგში“ გადავიდა აგრეთვე არგენტინელი ფრანჩესკოლი, დანიელები ბიუსკი და ლერბი „მონაკოს“ მოთამაშეები გახდნენ. ისეთმა უმნიშვნელო კლუბმაც კი, როგორიც „ბრესტია“, ორი „ვარსკვლავი“ შეიძინა—არგენტინელი ბრაუნი და ბრაზილიელი ჟულიო სეზარი.

# ზონალურ პირველობაზე

**18 გუნდმა** მიიღო მონაწილეობა ქუთაისის საფეხბურთო ზონალურ გათამაშებაში, ამ მეტად მნიშვნელოვან მასობრივ შეჯიბრებაში უმეტესად მონაწილეობენ ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომელთა რიგებიდან შეიძლება პერსპექტიულთა შერჩევა და დაწინაურება. ახლა, როცა გათამაშების პირველი წრე დასრულდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გათამაშებას მომზადებული შეხვდნენ ზესტაფონის, ორჯონიკიძის, თერჯოლის, ონის, ჭიათურის, წყალტუბოს რაიონების სპორტული კოლექტივები, მაგრამ ბევრგან უგულისყუროდ ეკიდებიან ამ მეტად საინტერესო ღონისძიებას, მზად არა აქვთ სასპარეზო ბაზები, მოუმზადებელი, სუსტი გუნდები გამოიყვანეს ონის, ჭიათურის, წულუკიძის, ცაგერისა და სხვა რაიონებმა, ბევრ გუნდში დაბალ დონეზე დგას დისციპლინა. მაგალითად, მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს ტყიბულელი ზ. სამაკაშვილი, გააფრთხილეს ზ. გიორგაშვილი (ონი), ტ. კაპანაძე (ჭიათურა), უ. ჩარგეიშვილი (წულუკიძე), მ. აბაშიძე და თ. ფცქიალაძე (ორჯონიკიძე). **აღმაშფოთებელი ამბავი მოხდა 7 ივნისს ორჯონიკიძეში ადგილობრივი და ზესტაფონელი ფეხბურთელების შეხვედრისას. თამაშის შედეგით განაწყენებულ მაყურებელთა ერთი ჯგუფი უშვერი სიტყვებითა და მუშტებით გაუმასპინძლდა მსაჯს.** ამ ფაქტზე იმსჯელა ზონალური გათამაშების სპორტტექნიკურმა კომისიამ (თავმჯდომარე საკავშირო კატეგორიის მსაჯი ზ. თოდაძე, რომელმაც ორჯონიკიძელთა საფეხბურთო მინდორს პირობითი დისკვალიფიკაცია მისცა. ეს მით უფრო დასანანია, რომ ორჯონიკიძის „ჩხერიმელა“ ამჟამად ლიდერობს ზონალურ გათამაშებას.

იყო სხვა დარღვევებიც: **სტუმრად მატჩების ჩასატარებლად არ გამოცხადდნენ მაიაკოვსკის, ამბროლაურის, ცაგერის, საჩხერის, ჭიათურისა და ქუთაისის გუნდები,** ბევრგან კი ვერ უზრუნველყვეს ჩამოსულ ფეხბურთელთა რიგიანი მიღება და მატჩების ჩატარება.

ზონალურ გათამაშებას საკმარისი რაოდენობით ესაჭიროება მსაჯები, .მათი სიები კი არ წარმოადგინეს მაიაკოვსკის, ტყიბულის, ამბროლაურის, ცაგერის, ონის სპორტკომიტეტებმა.

ჩასატარებელია ქუთაისის ზონის გათამაშების მეორე წრის მატჩები. იმედს გამოვთქვამთ, რომ შეჯიბრებაში მონაწილე ორგანიზაციები მეტ დაინტერესებას, მეტ ყურადღებას გამოიჩენენ ამ საჭირო შეჯიბრებისადმი.

პირველი წრის თამაშების შემდეგ 21 ქულით დაწინაურდა ორჯონიკიძის „ჩხერიმელა“

**მ. ჯაფარიძე,**
**ზონალური გათამაშების მსაჯიინსპექტორი.**

# მეშვიდედ!

**ქალაქ მახარაძე ერთდროულად მოშაშეთა ორ ტურნირს მასპინძლობდა — ქალთა და ვაჟთა რესპუბლიკურ ჩემპიონატებს 64-უჯრედიან შაშში.**

საქართველოს ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად 12 ქალი იბრძოდა. ჩემპიონი გახდა სამტრედიის მე-13 საშუალო სკოლის მეათეკლასელი, ოსტატობის კანდიდატი ლალი ჩომახიძე (მწვრთნელი — ა. გრიგოლია), რომელმაც 11 შესაძლებლიდან 9 ქულა მოაგროვა.

II ადგილზე თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ნატო აგლაძე გავიდა, მესამე ადგილი სამტრედიელმა ოსტატობის კანდიდატმა ლია ღირდალაძემ დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ მახარაძელმა ნატო ურუშაძემ ამ ტურნირში ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულა.

ვაჟთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტმა, ლენინურმა სტიპენდიანტმა, ოსტატმა ალექსანდრე ბერუაშვილმა (მწვრთნელი ს. პახლანჯიანი). მან დაუმარცხებლად განვლო მთელი ტურნირი და 13 შესაძლებლიდან 12 ქულა მოაგროვა. აღსანიშნავია, რომ ბერუაშვილმა მეშვიდედ მიაღწია ასეთ დიდ წარმატებას.

გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა ოსტატობის კანდიდატი ლევან კიკნაძე, 9,5 ქულით III ადგილზე ოსტატი დავით კილურაძე გავიდა.

**ვლადიმერ კანდელაკი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

# თბილისელებმა მოწონება დაიმსახურეს

„დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა წყალბურთში



**ახლოვდება** ჩვენი ქვეყნის ხალხთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი წყალბურთში. ყველა გუნდი ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს დარჩენილი დრო და უძლიერესებთან ბრძოლაში გამოსცადოს თავისი ძალა და უნარი. „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე სწორედ ეს ჰქონდა დასახული მიზნად თბილისის „დინამოს“, რომლის ზოგიერთ წევრსაც საკავშირო სპარტაკიადაზე მოუწევს რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვა.

„დინამოს“ ცენტრალური საბჭოს წყალბურთელები, მოგეხსენებათ, ქვეყნის მასშტაბით უძლიერესნი არიან. საკავშირო ჩემპიონატების უმაღლეს ლიგაში ყველას სწორედ დინამოელები სჯობნიან. ამიტომაა მათი შეჯიბრება დიდ ინტერესს რომ იწვევს.

გულშემატკივრებმა სოხუმის დოსააფის აუზში მოიყარეს თავი. სათამაშოდ შეიკრიბნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ლვოვის, ალმა-ათისა და თბილისის დინამოელები. ყველას კიეველებმა აჯობეს. II-III ადგილებისთვის გადამწყვეტი ბრძოლა თბილისელ და ლვოველ წყალბურთელთა შორის გაჩაღდა. ანგარიშით 10:8 თბილისელებმა გაიმარჯვეს.

თბილისელთა თამაშს კარგი შეფასება მისცა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს უფროსმა მწვრთნელმა წყალბურთში ბ. გრიშინმა.

— უმაღლესი ლიგის გუნდებთან ბრძოლაში თავი გამოიჩინეს ახალგაზრდა თბილისელმა წყალბურთელებმა. იმედი მაქვს, ჩვენი გუნდი საკავშირო სპარტაკიადაზეც კარგად ითამაშებს, — თქვა თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ი. ჩხიკვაძემ.

**მზია აკობია.**
**„ლელოს“ სპ. კორ.**

სოხუმი.



# „ბენვენიდოს“! ამბობს პეპე

**ახლა** მთელს მადრიდს ამშვენებს დოინჯშემოდგმული, ძლიერი, მაგრამ კეთილი ხარის ფიგურა. იგი შემოგყურებთ მაღაზიების ვიტრინებიდან, ქუჩებში გამოკრული აფიშებიდან, ტელეეკრანებიდან და გაზეთების ფურცლებიდან. იგივე ფიგურა ამშვენებს სამკერდე ნიშნებსა და სუვენირებს. ამ ხარზე „ნადირობენ“ მოზღვავებული ტურისტები, რომლებიც ისედაც ბლომად არიან მადრიდში. ამ დღეებში სწორედ ამ ხარს შესციცინებს მთელი ქალაქი.

იქნებ გგონიათ მადრიდში მსოფლიოს საუკეთესო ტორეადორებმა მოიყარეს თავი და აქ უჩვენებენ ოსტატობას? არა, ამ ხარს საცურაო კოსტიუმი აცვია და თავს იწონებს აუზის პირას, საიდანაც ეს ესაა ამოსულა. სხეულიდან ჩამოწურული წყლისგან გუბე დაუყენებია.

— დიდხანს ვიფიქრეთ და ბოლოს გადავწყვიტეთ: ესპანეთი და ხარიდა განუყოფელია. ჰოდა, ვითომ იმით რა დაშავდებოდა ხარისთვის საცურაო კოსტიუმი ჩაგვეცმია და იგი... საწყლოსნო სახეობებში მსოფლიო ჩემპიონატის ემბლემად გვექცია? — თქვა საწყლოსნო სახეობებში V მსოფლიო ჩემპიონატის გენერალურმა აღმასრულებელმა დირექტორმა ენრიკე გრანადოსმა.

ხარს ესპანური სახელი — პეპე დაარქვეს. პეპე ესპანეთში უხმობს მრავალი ქვეყნის უძლიერეს მოცურავეებს, წყალში მხტომელებს, წყალბურთელებსა და სინქრონული ცურვის ოსტატებს. იგი ყველა სტუმარს უღიმის და ეუბნება „ბენვენიდოს!“ — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. პეპემ სპორტსმენებს დაახვედრა ბრწყინვალე საცურაო კომპლექსი, რომლის საერთო ფართობი 21.050 კვ. მეტრია, აქ დაიდო ბინა საორგანიზაციო კომიტეტმა, სამდივნომ, სამსაჯო კოლეგიამ, პრესცენტრმა. აქვეა აუზები, რომლებიც საგანგებოდ ამ ჩემპიონატისთვის ააგეს.

შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი გახლავთ ესპანეთის მეფე ხუან კარლო I. სხვათა შორის, იგი უნივერსალური სპორტსმენია და უპირატესობას საწყლოსნო სახეობებს ანიჭებს.

ჩემპიონატი 23 აგვისტომდე გაგრძელდება.

# მადრიდის მსოფლიო ჩემპიონატზე

**ესპანეთის** დედაქალაქში დასასრულს უახლოვდება მსოფლიო ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. მეორე გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა წყალბურთელებმა საბერძნეთის გუნდთან შეხვედრაში — 12:7.

ტრამპლინიდან ხტომაში ქალთა შორის 16 წლის მოსკოველი მარინა ბობკოვა მესამე ადგილზეა წინასწარ შეჯიბრებებში 5 ნახტომის შემდეგ. აქ ლიდერობენ ჩინელი წყალში მხტომელები გაო მინი (225,66) და ლი იხუა (217,59). მ. ბობკოვას 211,55 ქულა ჰქონდა.

წყალბურთელთა ტურნირში ბრაზილიელები საბჭოთა გუნდთან წაგების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთანაც დამარცხდნენ — 6:15.

მიმდინარე ჩემპიონატზე სინქრონულ ცურვაში სოლისტების ტურნირში ლიდერობს კანადელი კაროლინ ვალდო, დღეს გამოვლინდებიან ჩემპიონები წყვილების სინქრონულ ცურვაში, ცურვაში კი გათამაშდება მედლების ხუთი კომპლექტი.



გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩ-რევანში ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის



# მერვე პარტია

**მერვე** პარტიაში მეტოქეებმა ისევ ლაზიერის გამბიტს მიმართეს. დასაწყისი რაიმე სიმწვავეს არ მიანიშნებდა, მაგრამ საკმარისი იყო შავებით მოთამაშე კარპოვს რამდენადმე ნაადრევად განეხორციელებინა გარღვევა ცენტრში, რომ ჩემპიონმა მყისვე უპირატესობა მიიღო. მისი ორი კუ აშკარად სჯობდა შავების კუსა და მხედარს.

კასპაროვი დიდი ალმავლობით თამაშობდა. მან ხარისხის მოგებაზეც კი უარი განაცხადა, რათა მეტოქისათვის კონტრიერიშზე გადასვლის საშუალება არ მიეცა. ჩემპიონმა ისიც გაითვალისწინა, რომ კარპოვმა წინა სვლებზე ბევრი იფიქრა და სასტიკი ცაიტნოტი ემუქრებოდა. ასეთ პირობებში ექს-ჩემპიონმა მცდარი გადაწყვეტილება მიიღო. იგი პაიკის მოგებას გამოეკიდა და ლაზიერი ბრძოლის გადამწყვეტ უბანს დააშორა. ამან კასპაროვს ამოცანა გაუადვილა. თეთრებმა ჭარბ ძალებს მოუყარეს თავი მეფის ფრთაზე, რომელიც არასაკმარისად იყო დაცული. რამდენიმე ტაქტიკური დარტყმით კასპაროვმა მეტოქე გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. უკვე 31-ე სვლაზე ექს-ჩემპიონმა მოფიქრებისათვის განკუთვნილ დროს გადააცილა და წაგება ჩაეთვალა. ამრიგად ანგარიში გახდა 4,5:3,5 კასპაროვის სასარგებლოდ.

**კასპაროვი — კარპოვი**

**ლაზიერის გამბიტი**

1. d4 d5 2. c4 e6 3. მc3 კe7 4. cd ed 5. კf4 მf6 6. e3 0—0 7. კd3 c5 8. მf3 მc6 9. 0—0 კg4 10. dc კ:c5 11. h3 კ:f3 12. ლ:f3 d4 13. მe4 კe7 14. ეad1 ლa5 15. მg3 de 16. fe ლ:a2 17. მf5 ლe6 18. კh6 მe8 19. ლh5 g6 20. ლg4 მe5 21. ლg3 კf6 22. კb5 მg7 23. კ:g7 კ:g7 24. ეd6 ლb3 25. მ:g7 ლ:b5 26. მf5 ეad8 27. ეf6 ეd2 28. ლg5 ლ:b2 29. მფh1 მფh8 30. მd4 ე:d4 31. ლ:e5. შავებმა დროს გადააცილეს.

დღეს მეტოქეები ისვენებენ. მორიგი მეცხრე პარტია ხვალ უნდა გაიმართოს.

# განვლილია რვა ტური

**ქუთაისი,** 16 აგვისტო (**ტელეფონით, „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი**). ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ მოჭადრაკე ქალთა 46-ე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირში ერთობ წარუმატებლად გამოდიან დუშანბელი ლოლა ნასიროვა და მინსკელი ოლგა ლომაკინა. მათ ნახევარი ქულაც კი ვერ მოიპოვეს ჯერ. თითქოს ჩვენი საყვედური გაიგესო, ლომაკინამ ორივე გადადებული პარტია მოიგო, ნასიროვამ კი ყაიმით დაამთავრა პარტია ერთ-ერთ ლიდერთან, საერთაშორისო ოსტატ ნატალია ალიოხინასთან (მოსკოვის ოლქი).

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს შეჯიბრების ლიდერმა, ალმაათელმა საერთაშორისო ოსტატმა ფლორა უსკოვამ, სამიდან მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება შეძლო.

8 ტურის შემდეგ ყველაზე მეტი გადადებული პარტია ალიოხინას ჰქონდა — 4. ამ დღეს მან თავის აქტივს მხოლოდ 2 ქულა შესძინა. თბილისელმა ქეთევან არახამიამ ერთი ქულა ჩაიწერა. როგორც ვვარაუდობდით, მას თამაში განუხრელად დანებდა ქუთაისელი ჰენრიეტა ლაგვილავა, მინსკელ ირინა ბოტვინიკთან შეხვედრა კი კვლავ გადაიდო. სპეციალისტების აზრით, ქართველ მოჭადრაკეს მცირე უპირატესობა აქვს. რაც შეეხება მესამე გადადებულ პარტიას, არახამიამ და ლომაკინამ ხელახალი შეხვედრა ვერ მოახერხეს, დრო აღარ ეყოთ.

8 ტურის შემდეგ ნახევარფინალურ ტურნირში ლიდერობს უსკოვა — 5,5 ქულა, შემდეგ მოდიან ალიოხინა, ირინე კულიში (კრასნოიარსკი) — 5-5, არახამია — 4,5 (2); ლაგვილავა, ელენა ფათალობეკოვა, გალინა სტრუტინსკაია (ორივე — მოსკოვი) — 4,5-4,5, მზია წერეთელი (მახარაძე), დიანა ეშჩენკო (ვლადივოსტოკი) — 4-4. ქეთევან მელაშვილს 3 ქულა აქვს და XI-XII ადგილებს იყოფს.

**თამაზ ხარაბაძე.**

# ბანაობა ღია წყალსაცავში

**ზაფხულში** ბანაობა მხოლოდ სიამოვნება როდია, — ეს არის გაკაჟების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, რომელიც წყლის პროცედურების გარდა მზისა და ჰაერის აბაზანებსაც შეიცავს. ბანაობის დროს ორგანიზმზე ერთდროულად მოქმედებს ბუნებრივი ფაქტორების მთელი კომპლექსი — წყალი, მზე, ჰაერი. გარდა ამისა, ბანაობას თან სდევს მოძრაობითი აქტივობა, დადებითი ემოციები და ფსიქოლოგიური განმუხტვა, რაც, თავის მხრივ, საგრძნობლად აძლიერებს მის გამაკაჟებელ ზემოქმედებას.

ორგანიზმი ძალზე თავისებურად რეაგირობს ბანაობაზე. წყალში შესვლის დროს წარმოიშობა სიცივის შეგრძნება, კანის სისხლძარღვები მკვეთრად ვიწროვდება, ხშირდება პულსი, უმნიშვნელოდ იმატებს არტერიული წნევა და კუნთური დაჭიმულობა, ხდება სუნთქვის უნებლიე შეკავება.

1-2 წუთის შემდეგ სიცივის შეგრძნება ნელდება, სუნთქვა უფრო ღრმა ხდება, პულსი კლებულობს, ხოლო ზედაპირული სისხლძარღვები კვლავ ფართოვდება, აქტიურდება ნივთიერებათა ცვლა, ძლიერდება შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მუშაობა, არტერიული წნევა რამდენადმე კლებულობს.

ასეთი ორფაზიანი რეაქცია — სისხლძარღვების თავისებური ტანვარჯიში — მოწმობს იმას, რომ გაცივების ინტენსივობა და დაკარგული სითბოს რაოდენობა ბანაობის დროს შეესატყვისება ორგანიზმის ფუნქციონალურ შესაძლებლობებს, რომ მას შეუძლია აინაზღაუროს წყალში ყოფნის დროს დაკარგული სითბო.

დიდხანს ბანაობის დროს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ წყალი ძალიან ცივია, წარმოიშობა ძლიერი სიცივის, ჟრჟოლის შეგრძნება. სისხლძარღვთა სპაზმის შედეგად კანი ფითრდება და ლურჯდება კიდეც, ტუჩები კი ძალზე ლურჯი ხდება. ყველაფერი ეს მიგვანიშნებს ორგანიზმის ზედმეტად გაცივებაზე, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ცნობილია, რომ წყლის სითბოტევადობა 25-ჯერ აღემატება ჰაერის სითბოტევადობას. წყალში, რომლის ტემპერატურაა 25 გრადუსი, შიშველი სხეული 1,5 წუთის განმავლობაში გასცემს სითბოს იმდენსავე რაოდენობას, რასაც (დროის იმავე მონაკვეთში) 7 გრადუსი ტემპერატურის ჰაერზე.

ამიტომ ბანაობის ხანგრძლივობის მკაცრი დოზირება მისი როგორც გამაკაჟებელი პროცედურის ეფექტურობის მთავარი პირობაა. გაეცანით აქ მოყვანილ ცხრილებს, რომლებიც შეადგინეს პროფესორმა ვ. ბოკშეიმ და გ. ლატიშევმა ორგანიზმის მიერ სითბოს დაკარგვის გათვალისწინებით ამა თუ იმ ტემპერატურის წყალში. ამ ცხრილების მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ ზუსტად განსაზღვროთ ბანაობის ხანგრძლივობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

სწორად წარმართული ბანაობის დროს ორგანიზმის მიერ სითბოს კარგვა თანდათან მატულობს, რაც კარგ გამაკაჟებელ ეფექტს იძლევა და მთლიანად გამორიცხავს ზედმეტად გაცივების საშიშროებას. ცხრილების გამოყენებისას გაითვალისწინეთ საკუთარი ინდივიდუალური თვისებები — ჯანმრთელობის მდგომარეობა, ფიზიკური განვითარება, სიცივისადმი მგრძნობიარობის ხარისხი. ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ ბანაობისას უნდა დავიცვათ გარკვეული წესები. შეგახსენებთ მათ:

— ბანაობა შეიძლება მხოლოდ სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ადგილებში;

— ზაფხულის ცხელ დღეებში ბანაობისათვის ყველაზე კარგი დროა 6-დან 7, 11-დან 12 და 16-დან 18 საათამდე. გრილ დღეებში უმჯობესია ბანაობა დღის მეორე ნახევარში, როდესაც წყალი უკვე გამთბარია. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ იბანაოთ ჭამის შემდეგ ერთ საათზე ადრე;

— არ შეხვიდეთ წყალში ოფლიანი ან გახურებული, აგრეთვე შემცივნებული — გახურდით რამდენიმე ფიზიკური ვარჯიშის შესრულებით;

— წყალში ჩასვლამდე დაისველეთ პირი და მხრები. ეს აუცილებელია მათთვის, ვინც პირველად ბანაობს სეზონში, აგრეთვე ხანში შესულებისა და მცივანებისათვის;

— წყალში აქტიურად იმოძრავეთ: იცურავეთ, ითამაშეთ;

— კონტროლი გაუწიეთ საკუთარ გუნება-განწყობილებას: შემცივნების პირველსავე ნიშანზე ამოდით წყლიდან და შეასრულეთ რამდენიმე ფიზიკური ვარჯიში.

**ბანაობის ხანგრძლივობა პრაქტიკულად ჯანმრთელი მოზრდილი ადამიანებისათვის**

| წყლის ტემპერატ. | ბანაობა (წუთები) I | II | III | IV | V და ა. შ. |
|---|---|---|---|---|---|
| I6 | I,0 | I,5 | 2,0 | 3,0 | 4,0 |
| I7 | I,0 | I,5 | 2,0 | 3,0 | 5,0 |
| I8 | I,5 | 2,0 | 3,0 | 4,0 | 6,0 |
| I9 | I,5 | 2,0 | 4,0 | 5,0 | 7,0 |
| 20 | I,5 | 3,0 | 4,0 | 6,0 | 9,0 |
| 2I | 2,0 | 3,0 | 5,0 | 8,0 | I0,0 |
| 22 | 3,0 | 4,0 | 6,0 | I0,0 | I3,0 |
| 23 | 4,0 | 6,0 | 9,0 | I3,0 | I7,0 |
| 24 | 5,0 | 8,0 | I2,0 | I7,0 | 23,0 |
| 25 | 7,0 | II,0 | I6,0 | 23,0 | 30,0 |
| 26 | I0,0 | I6,0 | 23,0 | 30,0 | 30,0 |

**ბანაობის ხანგრძლივობა ხანში შესული და ახალგაზრდა უწრთობი ადამიანებისთვის**

| წყლის ტემპერატ. | ბანაობა (წუთები) I | II | III | IV | V და ა. შ. |
|---|---|---|---|---|---|
| I6 | 0,4 | 0,5 | I,0 | I,5 | 2,0 |
| I7 | 0,5 | I,0 | I,0 | I,5 | 2,0 |
| I8 | 0,5 | I,0 | I,5 | 2,0 | 3,0 |
| I9 | 0,5 | I,0 | I,5 | 2,0 | 4,0 |
| 20 | 0,5 | I,0 | I,5 | 3,0 | 4,0 |
| 2I | I,0 | I,5 | 2,0 | 3,0 | 5,0 |
| 22 | I,0 | I,5 | 3,0 | 4,0 | 6,0 |
| 23 | I,0 | 2,0 | 4,0 | 6,0 | 9,0 |
| 24 | I,5 | 2,0 | 5,0 | 8,0 | I2,0 |
| 25 | I,5 | 3,0 | 7,0 | II,0 | I6,0 |
| 26 | 2,0 | 5,0 | I0,0 | I6,0 | 23,0 |

**ბანაობის ხანგრძლივობა ბავშვებისა და მოზარდებისათვის**

| წყლის ტემპერატ. | ასაკი | ბანაობა (წუთები) I | II | III | IV | V | VI და ა. შ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| I7 | II-I6 | 0,4 | 0,8 | 0,8 | I,3 | I,6 | 2,7 |
| I8 | II-I6 | 0,4 | 0,8 | I,3 | I,6 | 2,7 | 3,5 |
| I9 | II-I6 | 0,5 | I,0 | I,0 | 2,0 | 3,5 | 5,0 |
| | 7-I0 | 0,4 | 0,8 | 0,8 | I,3 | 2,7 | 3,5 |
| 20 | II-I6 | 0,5 | I,0 | I,5 | 2,5 | 4,0 | 5,5 |
| | 7-I0 | 0,4 | 0,8 | I,3 | 2,5 | 3,0 | 4,0 |
| | 4-6 | 0,3 | 0,6 | I,0 | I,5 | 2,0 | 2,5 |
| 2I | II-I6 | 0,8 | I,3 | 2,0 | 3,0 | 4,0 | 6,0 |
| | 7-I0 | 0,5 | I,0 | I,5 | 2,5 | 3,5 | 5,0 |
| | 4-6 | 0,4 | 0,8 | I,5 | 2,0 | 2,5 | 3,5 |
| 22 | II-I6 | I,0 | I,5 | 2,5 | 4,0 | 5,0 | 9,0 |
| | 7-I0 | 0,8 | I,5 | 2,0 | 3,0 | 4,5 | 6,0 |
| | 4-6 | 0,5 | I,0 | 2,0 | 2,5 | 3,0 | 5,0 |
| 23 | II-I6 | I,0 | 2,0 | 3,0 | 5,0 | 6,0 | I2,0 |
| | 7-I0 | 0,8 | I,5 | 2,5 | 4,0 | 5,0 | 8,0 |
| | 4-6 | 0,5 | I,0 | 2,0 | 3,0 | 3,5 | 5,0 |
| 24 | II-I6 | I,3 | I,5 | 3,5 | 5,5 | 8,0 | I3,0 |
| | 7-I0 | I,0 | 2,0 | 3,0 | 5,0 | 6,0 | I0,0 |
| | 4-6 | 0,8 | I,5 | 2,5 | 3,5 | 4,0 | 4,0 |
| 25 | II-I6 | I,5 | 2,0 | 4,0 | 6,0 | 9,0 | I5,0 |
| | 7-I0 | I,0 | 2,0 | 3,5 | 5,5 | 7,0 | I0,0 |
| | 4-6 | I,0 | I,5 | 3,0 | 4,0 | 4,5 | 5,0 |
| 26 | II-I6 | 2,0 | 5,0 | 8,0 | I2,0 | I5,0 | I5,0 |
| | 7-I0 | I,5 | 3,0 | 4,5 | 8,0 | I5,0 | I5,0 |
| | 4-6 | I,0 | 2,0 | 4,0 | 5,0 | 5,0 | 5,0 |

# ფინალში: სსრ კავშირი — აშშ

**ვინ** მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონობას კალათბურთში ქალთა შორის? ოქროს მედლებისთვის დაძაბული ბრძოლის შემდეგ გადამწყვეტ მატჩში თამაშის უფლება მოიპოვეს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელებმა.

ფინალში პირველად ამერიკელი ქალები გავიდნენ, რომლებმაც საკმაოდ დიდი განსხვავებით დაამარცხეს კანადის გუნდი — 82:59 (39:31), თუმცა, მათი გამარჯვება არც ისე იოლი იყო, ვინაიდან მე-7 წუთისთვის თამაშს კანადელები იგებდნენ — 14:6. ანგარიში მე-14 წუთზე გათანაბრდა კატრინ მაკლეინის ზუსტი ტყორცნის შემდეგ, მერე კი ამერიკელებს ხელიდან აღარ გაუშვიათ უპირატესობა.

პარასკევს, გვიან ღამით, გადაწყდა მეორე ფინალისტის ვინაობაც. ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები, ჩვენმა კალათბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 78:67 (პირველ ტაიმს ჩვენი გუნდი აგებდა ანგარიშით 33:34).

15 აგვისტოს მიმდინარეობდა თამაშები V-VIII ადგილებისთვის. ჩინეთის კალათბურთელებმა ანგარიშით 88:73 დაამარცხეს ბულგარეთის გუნდი, კუბელებმა კი მოუგეს უნგრელებს — 74:72.

**გუშინ მოსკოვის ცსკა-ს უნივერსალურ დარბაზში შედგა მატჩი ბრინჯაოს მედლებისთვის კანადისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის, დღეს კი ოქროს მედლების მაძიებელთა გადამწყვეტი თამაშია.**

# „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 10 აგვისტოს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, 32-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“-იდან:** გაიყიდა 936019 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (35 ბარათი) მოგება 1090 მანეთია, ოთხისთვის (1696) — 33, სამისთვის (32715) — 3.

**„სპორტლოტო 5 36“-იდან:** გაიყიდა 5 312 407 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (142 ბარათი) მოგება 2994 მანეთია, ოთხისთვის (9146) — 54, სამისთვის (154800) — 5.

32-ე ტირაჟისა და 10-ტირაჟიანი (23-დან 32-ის ჩათვლით) ბარათების მოგებათა განაღდება 25 აგვისტოდან 25 სექტემბრის ჩათვლით.

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

**ჩვენი ინდექსი:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07612